ნედლი და დამზმარე მასალების მომარაგება არაა დაყენებული სათანადო დონეზე. დამზმარე მასალებიდან ქარხანას ჭირდება თუნუქი საკონსერვო ყუთებისათვის, შაქარი და სხვ.

თუნუქის მომარაგება ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელია, რადგან ქარხანა კიდევ არ მუშაობს სრული დატვირთვით, მაგრამ მესამე კვარტალში, როდესაც ქარხანას დასჭირდება 5 მილიონზე მეტი კოლოფის დამზადება, ეს მასალა აღარ იქმარებს, ქარხნის ადმინისტრაცია არ ზრუნავს თუნუქის დროულად მომარაგებაზე.

მთავარი საკითხია საკონსერვე ნედლეულის მომარაგება, ამ მხრივაც პერსპექტივები არაა სანუგეშო. ჯერ ერთი, სამოსლოდ არაა გამორჩეული წლიური საწარმოო გეგმა. კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეტანილია 11 მილიონი კოლოფი კონსერვის გამოშვება, ხოლო „ზაკკონსერვიდან“ მიღებული უკანასკნელი საკონტროლო ციფრით გათვალისწინებულია 8.800.000 კოლოფის დამზადება. სამოსლოდ, რომელი დავალება დარჩება ძალაში, არაა გამორკვეული.

მეორეს მხრივ, გორის რაიონი, სადაც უნდა დამზადდეს ქარხნისათვის საჭირო ნედლეული, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საჭირო იქნება ხილეულის დამზადების ახალი რაიონების გამოძებნა. ამ მხრივ ნაბიჯები არაა გადადგმული. დასავლეთ საქართველოდან, სადაც წელს ამუშავდება ახალი დიდი საკონსერვო ქარხანა, გორის ქარხნისათვის ნედლეულის შემოტანა გაჭირდება.

საჭიროა ამ მიმართულებით მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები და ეხლავე ჩატარდეს ხილეულის კონტრაქტაცია მეზობელ რაიონებში.

გასულ წელს ხილის დამზადების საქმეში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დამახინჯებებს. საკონსერვე ქარხნის საჭიროებისათვის დაამზადეს 55 ტონა ვაშლი, რომელიც ვერ იქნა დროულათ გადამუშავებული. ქარხნის ადმინისტრაციამ არ იცოდა, სად წაეღო ამდენი ვაშლი. აქ „მზესწილის“ რაოლში გამოვიდა ქარხნის მომარაგების დარგის მუშაკი ვინმე **ისაკა აბრამიშვილი**, რომელმაც ქარხნის დირექტორთან შეუთანხმებლად გაჰყიდა ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაზე 32 ტონა ვაშლი, ხოლო აღებული თანხა 28.000 მანეთის რაოდენობით, თავის სახელზე შეიტანა სალაროში.

ეს საქმე ამჟამად გადაცემული აქვს პროკურატურას.

დ. ლ—ძე.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

რა გააკეთა თბილისის საბჭომ

ამხ. ბ. მაჩაიძის მოხსენება თბილისის საბჭოს, და რაიონის საბჭოების გაერთიანებულ კლენუმზე

საანგარიშო კამპანიის დაწყების წინ, შეიძლება თბილისის საბჭოს და რაიონსაბჭოების გაერთიანების პლენუმი, რომელზედაც თბილისის საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბ. მაჩაიძე, მომხსენებელმა დააბასიათა თბილისის საბჭოს განვლილი მუშაობა მეურნეობის თვითეულ დარგის მიხედვით და მოიყვანა შემდეგი ციფრები:

მრეწველობა: 1-ლი ხუთწლიანი გეგმა თბილისის მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა (პოლიგრაფიული მრეწველობა, თბილისგუმმრეწვის ქარხნები და სხვ.) უკვე შეასრულეს. თბილისის მრეწველობის მთელი წლიური საერთო პროდუქცია (შინა-მრეწველობის გამოკლებით) 1931 წელს უდრიდა 100.198.000 მანეთს, ნაცვლად 1930 წლის 53.755.000 მანეთისა, რაც 55,9 პროც. ზრდას უდრის. 1928 წელთან შედარებით საქალაქო მრეწველობის პროდუქცია ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს, ბოლოსთვის გაიზარდა სამჯერ, ხოლო 1932 წელს იგი გადიდდება ოთხჯერ და მოგვცემს 129.409.000 მანეთს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების სურათი მაინც არაა დამაკმაყოფილებელი. აი ისწრება ეს გარემოება იმით, რომ მთელ რიგ საწარმოებში ადგილი აქვს თვითმდინარეობებზე დაყრდნობის ოპორტუნისტულ პრაქტიკას, ადგილი აქვს ამ. სტალინის 6 მითითების განხორციელებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, კონკრეტული ხელმძღვანელობის სისუსტეს და სხვ.

მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება კადრების დაბანდებანიც. 1931 წელს თბილისის მრეწველობაში დაბანდებული იყო 9.619.000 მანეთი, ხოლო მიმდინარე წლისათვის გადაწყვეტილია დაბანდებულ იქნეს 20 მილიონი მანეთი.

კომუნალური მეურნეობა. კომუნალური მეურნეობის ხაზით წარმოებული მუშაობა მიძღვნილია ძირითადად სკკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის პლენუმის დადგენილებათა განხორციელების ნიშან ქვეშ.

1931 წელს კომუნალურ მეურნეობაში დაბანდებული თანხა 1930 წელთან შედარებით გაიზარდა 99,1 პროც. ნაცვლად 1930 წლის კომუნალური მეურნეობისა დახარჯული 7.202.000 მანეთისა, 1931 წელს დახარჯულ იქნა 14.342.000 მანეთი, ხოლო 1932 წელს კი, უნდა დაიხარჯოს 22.849.000 მანეთი.

საერთო შემოსავალი გაიზარდა 1931 წელს 51,9 პროცენტით, ხოლო 1932 წელს უნდა გაიზარდოს 43,5 პროცენტით. კომუნალურ მეურნეობის ცალკე დარგებში ჩატარებულ იქნა შემდეგი მუშაობა:

დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა **ქალაქის გენერალური გეგმის** შესადგენათ, ხოლო თვით გეგმის შედგენა დაწყებული იქნება 1933 წელს.

ელექტრო - ენერგიის მომარაგების გასაუმჯობესებლად დაწყებულია მუშაობა ზაჰესის გასაფართოებლად. აღნიშნული სამუშაოების დამთავრება მიმდინარე წლის სექტემბერში და ამის შემდეგ ქალაქის მოსახლეობას დამატებით მიეწოდება 12.000 კილოვატ - საათის ენერგია. მუშაობა რაიონებში დაწყებულია ელექტრო-გაყვანილობათა ქსელის გაფართოება, რისთვისაც გასულ წელს დახარჯული იყო 403.000 მანეთი.

ყველაზე მწვავე საკითხი იყო აღიარებული **ქალაქის მომარაგება სასმელი წყალით.** ძველი წყალსადენი ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და განსაკუთრებით ზაფხულში ქალაქს აღარ ყოფნის წყალი. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დაწყებულ იქნა ნატახტარის წყალსადინის გაყვანა, რომელიც უნდა დამთავრდეს მიმდინარე ზაფხულსვე, მაგრამ ამას აბრკოლებს დეფიციტურ საალმშენებლო მასალის სიმცირე.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა წელს, სხვადასხვა რაციონალიზატორულ ღონისძიებათა მეოხებით ძველი წყალსადენის ქსელით ქალაქისათვის წყალის მიწოდება გაზრდილ იქნა 5,4 პროცენტით.

ტრამვაის მეურნეობა, თბილისის საქალაქო მეურნეობის ხაზით „ციწრო ადგილას“ ითვლება. ჩვენს ტრამვაის უკვე აღარ ძალუძს დაკმაყოფილოს ქალაქის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, რომ ტრამვაის მეურნეობის გაფართოება სწრაფად ვითარდება.

1931 წელს ტრამვაის მიერ გადაყვანილ-გადმოყვანილი იყო 14,7 პროცენტით მეტი მგზავრები, ვიდრე 1929 წელს. 1930 წელს ტრამვაის შემოსავალი უდრიდა 6.935.000 მანეთს, ხოლო 1931 წელს ეს შემოსავალი გაიზარდა 10.654.000 მანეთამდე. მიმდინარე წლის განმავლობაში ვაგონების რიცხვი გადიდებული იქნება 27-ით. აქედან 17 მოტორიანი და 10 მისაბმელი ვაგონი. ტრამვაიმ წელს უნდა გადაიყვანოს 34 მილიონი მგზავრი.

მაგრამ ეს თბილისის გაზრდილ მოთხოვნილებას მაინც ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ თბილისის საბჭომ გადაწყვიტა მიმდინარე წლის განმავლობაში ვე შემოიღოს ავტობუსების რეგულარული მოძრაობა ქალაქის სხვადასხვა უბნებს შორის, ამ საქმის მოსაწყობად წელს გადაწყვეტილია 350.000 მანეთის დახარჯვა.

ქალაქის კეთილმოწყობა. ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნვა თბილისის საბჭოს ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. 1931 წელს ქუჩების ქვაფენილების დასაგებად და ქუჩების კეთილმოსაწყობად დაიხარჯა 3.300.000 მანეთი, ნაცვლად წინა წელს დახარჯული 589.000 მანეთისა. მიმდინარე წლის განმავლობაში ქუჩების კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 7.954.000 მანეთი. ამ თანხით წელს ასფალტით უნდა იქნეს მოკირწყლული რუსთაველის პროსპექტი და ლენინის ქუჩა, ელბაქიძის დაღმართი და ქალაქის სხვა ცენტრალური ქუჩები, სულ 32.000 კვადრატული მეტრის ფართობით. გათლილი ქვებით მოგებული იქნება 5.230 კვ. მეტრი. ფართობი, ხოლო რიყის ქვით — 119.500 კვ. მეტრი.

საბინაო მშენებლობა. საბინაო მშენებლობის განვითარება გაცილებით უფრო ნელი ტემპებით მიმდინარეობს, ვიდრე მცხოვრებთა ზრდა. 1928 წელს თვითეული მცხოვრებზე ქალაქში საშუალოდ მოდიოდა 6,5 კვად. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1931 წელს კი თვითეულ მცხოვრებზე მოდიოდა 4,5 კვად. მეტრი. 1931 წელს საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის დახარჯული იყო 7 მილიონი მანეთი, მაგრამ საბინაო მშენებლობის გეგმა დიდი გარღვევით შესრულდა, რაც უნდა მიეწეროს, საალმშენებლო ორგანიზაციების სუსტ მუშაობას.

მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისში უნდა დამთავრდეს 92.400 კვ. მეტრის საცხოვრებელი ბინების აგება. არსებული სახლების რემონტი არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ამის მიზეზი მდგომარეობს დეფიციტურ საალმშენებლო მასალის მოუმარაგებლობაში, რაც ერთის მხრივ მომმარაგებელი ორგანიზაციების და მეორეს მხრივ თვით სახლთა მმართველობის ბრალია. მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა არსებული სახლების რემონტისათვის გათვალისწინებულია 2.415.000 მანეთის დახარჯვა.

სახალხო ჯანმრთელობა. მზრუნველ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ჩვენი ყურადღების ცენტრში იდგა. ერთი წლის წინათ არსებული 205 საექიმო კაბინეტის მაგიერ, ამჟამად ქალაქში მოწყობილია 248 საექიმო კაბინეტი. გარდა პირდაპირი საექიმო (ამბულატორიული) დახმარებისა, მოსახლეობა ღებულობს დახმარებას — ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტიდან, ტუბდისპანსერებიდან, ვენერდისპანსერიდან, სამაიაკოო ინსტიტუტიდან და მთელ რიგ სხვა სამეცნიერო-სამკურნალო დაწესებულებებიდან.

გაუმჯობესებულია, როგორც ჯანმრთელობის პუნქტების, ისე სტაციონალური სამკურნალოების, ამბულატორიების და სხვა დაწესებულებების მუშაობა. გაიხსნა ახალი პედაგოგიური ინსტიტუტი, გაფართოდა დედათა და ბავშვთა საკონსულტაციო პუნქტების ქსელი და სხვ.

სახლთა განათლების დარგში ადგილი აქვს თვალსაჩინო მიღწევებს. თბილისის ფაბრიკებში უკვე შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება 7 წლების ფარგლებში. იზრდება სკოლების პლატენიზაციის გასატარებელი ნივთიერი ბაზა, გაფართოდა სკოლის გარეშე განათლების ქსელი, რომელშიაც ამჟამად გაერთიანებულია სკოლის გარეშე დარჩენილი 13.000 ბავშვი.

სამაგიეროთ დიდი ჩამორჩენილობაა **სასკოლო შენობების** ადგილის საქმეში. დაწყებული ახალი საფაბრიკო-საქარხნო სკოლის შენობის აგება ლენ-რაიონში და **რამდენიმე** სასკოლო შენობის ემატება **ახალი** სართულები. არც ერთი ახალი სასკოლო შენობა არ ყოფილა თბილისში **აგებული** ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში და ეს უნდა ჩაითვალოს თბილისის საბჭოს მუშაობის ერთ-ერთ მთავარ დეფექტად.

მუშათა მომარაგება. თბილისის საბჭოს მუშაობის საანგარიშო პერიოდში, ქალაქში სავაჭრო ღუქნების ქსელი გაიზარდა 65 პროცენტით. 1-ლი და მეორე სიის მიწებისათვის გახსნილია მუშათა დახურული კოოპერატივები. ასეთივე კოოპერატივებია გახსნილი სტუდენტობისათვის, მასწავლებელთათვის, ინჟენერ - ტექნიკოსებისათვის და სამეცნიერო მუშაკებისათვის.

მუშათა მომარაგების გაუმჯობესების მიზნით მთავარი ყურადღება ექცეოდა თვითდაზღვევის. მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში თვითდაზღვების წესით მიღებული პრემიტების ხვედრითი წონა მუშათა მომარაგებაში შეადგენდა 41,4 პროცენტს.

საზოგადოებრივი კვების დარგშიაც ადგილი აქვს მთელ რიგ მიღწევებს, მაგრამ ეს მიღწევები ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ უზრუნველყოფენ მუშათა კვების საბოლოო მოგვარებას, თბილისში არსებული დახურული სასადილოები სამსახურს უწევენ 42.755 კაცს.

მასიური-საორგანიზაციო მუშაობა. თბილისის საბჭოს მასიური - საორგანიზაციო მუშაობა მიმდინარეობდა მშრომელების ახალ ამოცანებთან შეფარდებით მუშაობის გარდაქმნის ნიშნის ქვეშ.

მე-8 მოწვევის თბილისის საბჭოში არჩეულია სულ 1651 დეპუტატი. შემდეგში მოხდა თბილისის ხელ-ახალი დარაიონება და ჩამოყალიბდა 4 რაიონული საბჭო და ერთი საგარეუბნო საბჭო.

საღეპუტატო ჯგუფების რიცხვმა, ნაცვლად წინა მოწვევის საბჭოს დროს არსებული 19-ისა მიაღწია 130-მდე. რაიონული საბჭოების ჩამოყალიბებამ გამოიწვია საღეპუტატო ჯგუფების მუშაობის გაძლიერება, რასაც მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ ყველა არსებულ საღეპუტატო ჯგუფებში სანგარიშო კამპანიის დაწყებამდე ჩაბმული იყო 1264 დეპუტატი, ანუ თბილისის საბჭოსა და რაიონსაბჭოების დეპუტატთა საერთო რიცხვის 44 პროცენტი. ყველა საღეპუტატო ჯგუფები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ, აერთიანებენ 83.000 ამომრჩეველს.

მასიურ - ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ საღეპუტატო ჯგუფებმა კიდევ ვერ შეძლეს ყველა დეპუტატების ჩაბმა **საბჭოს** აქტიურ მუშაობაში. საღეპუტატო ჯგუფების ჩამოყალიბება შეუკავშირებელ მოსახლეობაში ნელი ტემპით მიმდინარეობს და სუსტადაა გამოყენებული. აქტივი საღეპუტატო ჯგუფების ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამხ. მაჩაიძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოს დეპუტატებმა. კამათში აღნიშნული იყო, რომ განაპირა უბნების კომითიმწყობას საბჭომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს, უნდა გაძლიერდეს საბინაო მშენებლობის ტემპები, უნდა გაიმართოს სასკოლო მშენებლობა, დაკვირვება წესით უნდა მოგვარდეს ტრამვაის, მეურნეობა, უნდა დამყარდეს ქალაქში ავტობუსებისა და ტაქსო-მოტორების მოძრაობა და სხვ.

დასასრულ პლენუმმა მიიღო რეზოლუცია და თბილისის საბჭოს განგლილი მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

აფხაზეთმა უნდა გამოასწოროს სამარცხვინო ჩამორჩენა გაზაფხულის თესვაში

მასიური ხვნა-თესვა კიდევ არ დაუწყიათ

(ოზურგეთი, ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.)

ოზურგეთის რაიონში მასიური ხვნა - თესვა არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 26 მაისისათვის ერთწლიანი კულტურები სულ დათესილი იყო 1014 ჰექტ. რაც გეგმის 46 პროცენტს შეადგენს. მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმა ამ რიცხვისათვის შესრულებული იყო 79,8 პროც.

განსაკუთრებით **სუსტად მიმდინარეობს სიმინდის თესვა. უკანასკნელი რიცხვისათვის რაიონში სიმინდი დათესილი იყო 3693 ჰექტარზე,**— გეგმის **46,1** პროცენტი. სიმინდისათვის მოხნული იყო 5.065,5 ჰექტარი.

სიმინდის თესვის საქმეში წინ მიდიან სოფ. წატანების და ლიხაურის კოლმეურნეობები. **სამარცხვინოთ ჩამორჩენ:** სოფ. სილაურის, ჭონჩხათის და მაქვანეთის კოლმეურნეობები, რომლებსაც მასიური ხვნა-თესვა დღემდე არც კი დაუწყიათ.

ჩამორჩენას იწვევს ის გარემოება, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ოპორტუნისტულად ეკიდებიან ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენებას.

თესვის ტემპები უნდა გაძლიერდეს. დარჩენილი დღეები გამოცხადებული უნდა იქნას საგანგაშო დღეებად და მთელი ძალების მობილიზაციით უნდა შეესძლოთ საგაზაფხულო თესვის გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

ტ. აცანელი

სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

(ტელეგრაფით ლაგოდეხიდან)

მიმდინარე წელს ლაგოდეხის რაიონში ყველა კულტურები უნდა დაითესოს 14.805 ჰექტარზე. აქედან დათესილია მხოლოდ 1.688 ჰექტ., რაც გეგმის 71,5 პროც. ყოფრის, აგრეთვე გეგმის გარეშე დათესილია შერეული ლობიო 1104 ჰექტ.

ჩამორჩენაა პურის, შვრიის და სასილოსე ნათესების გეგმების შესრულებაში. ზოგიერთი კოლტურების თესვის გეგმები კი შესრულებულია გადაჭარბებით; მაგ. **სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია 112 პროც.,** ფეტვის—133 პროც.

ლელიანის და ყარსუბანის სასოფლო საბჭოები სამარცხვინოთ ჩამორჩენ თესვის გეგმების შესრულების საქმეში. საჭიროა ჩამორჩენის დროულად გამოსწორება.

დ. ლოგთაძე.

ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებათა საპასუხოდ

(ტელეგრაფით საგარეჯოდან)

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და საკ. სახკომსაბჭოს დადგენილებების დამუშავებამ კიდევ მეტად გააძლიერა ბრძოლა საგაზაფხულო თესვის გეგმების შესრულებისათვის.

ცეკას და სახკომსაბჭოს 7 და 10 მაისის დადგენილებები დამუშავებულია კაკაბეთის, მანავის, საგარეჯოს, გიორგწმინდას, წინოსწმინდას, პატარა ქეულის და სართიჭალის სასოფლო საბჭოებში. მიმდინარეობს დამუშავება ხაშმის, მალხაზოვკის, გომბორის და ბოჭორმის სასოფლო საბჭოებში.

თესვის გეგმების შესრულების საქმეში საგარეჯოს რაიონმა მიაღწია მნიშვნელოვან გამარჯვებას. **ყველა კულტურები ნაცვლად 10.881 ჰექტარისა დათესილია 11.067 ჰექტარზე, ანუ გეგმა შესრულებულია 101,8 პროც.**

ცალკე კულტურების მიხედვით თესვის საქმეში ასეთი სურათი გვაქვს: **გაზაფხულის ხორბალი** დათესილია 1930 ჰექტ., გეგმა შესრულებულია 193 პროც., **ქერი** და თესლია 1911 ჰექტ., გეგმა შესრულებულია 83,1 პროც., **შვრია** დათესილია 265 ჰექტ.,—გეგმის 143,2%, **სიმინდი** დათესილია 3395 ჰექტ., გეგმის 84,8 პროც.. **ჭვავი** გეგმის გარეშე დათესილია 31 ჰექტ., **ბამბა** დათესილია 1051 ჰექტ.—გეგმის—105 პროც. **ფეტვი** 372 ჰექტ.—გეგმის 275,7 პროც. **მზესუმზირას** თესვის გეგმა შესრულებულია 111,4 %, **ბოსტნეულის**—166 პროც., **ბრინჯი** გეგმის გარეშე დათესილია 18 ჰექტარზე.

რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტიბრძოლა და დამკვრელობა.

გ. მერკვილაძე.

გეგმას გადავაჭარბეთ

ბორი, 31 მაისი. (საკ. კორ.). 30 მაისისათვის გორის რაიონში სავაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებული იქნა 102 პროც. აქედან სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით პურის და ქერის 101 პროცენტით, პურის და ქერის თოდ დაიწყო ნათესების დამუშავება და თივის აკრეფა.

ქინძლაძე

თესვა 25 მაისისათვის

(სამ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

25 მაისისათვის ყველა კულტურები დათესილი იყო **496.087 ჰექტარზე,** შესრულებული იყო **გეგმის 70,6 პროცენტი.** სახშობით მეურნეობებს დათესილი ჰქონდათ 21.835 ჰექტარი (69,3 პროც.), კოლმეურნეობებს 140079 ჰექტარი (გეგმის 65,3 პროც.) და ინდივიდუალური მეურნეობებს 334.778 ჰექტარი, ანუ გეგმის 73,1 პროცენტი.

რაიონების მიხედვით ყველა კულტურები დათესილია:

რაიონები	ჰექტარი	გეგმის % %
ახალქალაქის	25.024	76,9
ბოგდანოვკის	5.356	37,8
ახალციხის	8.748	88,7
ადიგენის	9.999	112,8
ტაოსუბნის	6,886	86,4
სპანდინისის	32.290	103
გორის	18.371	96,4
კასპის	8.827	107,1
ბორჯომის	3.459	73,8
გურჯაანის	19.077	130,6
სიღნაღის	26.848	98,2
თელავის	21,818	93,5
ყვარელის	10.097	77
ლაგოდეხის	11.330	78,6
თბილისის	5.781	100
ყარაიას	5,140	60,1
ბორჩალოს	13.645	95,5
ლორუსმთისგის	3.781	81,1
წალკის	14,824	93
დუშეთის	7.116	86,6
ალბულაღ-მანგლისის	6.362	98,2
გარე კახეთის	10.946	98,9
მცხეთის	5.588	108,9
ბაშკიჩეთის	6.171	110,9
ერწო-თიანეთის	14.658	84,8
ხ ე ვ ს ი	284	17
სამხრეთ-ოსეთში	22,292	77,9
ჭიათურის	20.264	85,6
სამტრედიის	5.898	97,2
ხ ო ნ ი ს	8.877	81,4
ვ ა ნ ი ს	5.908	58,5
ბაღდათის	3.557	58,6
ზესტაფონის	6.865	66,6
ჩხარის	6.721	81,5
ქუთაისის	120.409	72,9
ხარაგოულის	5.545	63,1
ოცხეის	7.726	85,7
ო ნ ი ს	4.188	75,2
ამბროლაურის	7.581	99
ცაგერის	8.061	84,6
ჩოლურის	987	77,8
აბაშის	6.824	40,8
სენაკის	10.200	62,8
მარტვილის	6.559	41,8
ზუგდიდის	8.648	48,5
ხ ო ბ ი ს	3.004	26,1
წალენჯიხის	4.221	57,3
ჩხოროწყუს	5.805	68,3
ოზურგეთის	4,098	47,7
ლანჩხუთის	3.549	47,5
ჩოხატაურის	6.210	74,8
ზ. სვანეთის	1.473	137,7
ფოთის	241	35,2
ქობულეთის	3.180	6,5
აფხაზეთში	12.354	58,6

31 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლაში

(სამ. სარეწაო კოოპერაციის მეორე ყრილობის გამო)

სარეწაო კოოპერაცია, რომელსაც საქართველოში 6 წლის ისტორია აქვს, ჩვენ სახალხო მეურნეობაში გადაიქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეურნეო ფაქტორად. სარეწაო კოოპერაციის ხვედრითი წონა საქართველოში, ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ მრეწველობაში გაიზარდა 123-დან 220 პროცენტამდე მუშა-ხელის შეკავშირების დარგში, და 24 პროც.-დან 45,8 პროც.-მდე გამოშვებული პროდუქციის დარგში. ქ. თბილისის სახელმწიფო მსუბუქ მრეწველობაში ჩაბმული იყო 7086 მუშა, თბილისის სარეწაო კოოპერაციაში კი 9972 მუშა, ანუ 26 პროც. მეტი ვიდრე სახელმწიფო მრეწველობაში.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, პარტიამ და ხელისუფლებამ მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები გამოიტანა სარეწაო კოოპერაციის მუშაობის შესახებ. ამ დადგენილებათა და კერძოდ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ, მიეცა საშუალება საქ. სარეწაო კოოპერაციას, რომელსაც მანამდე ვერ აფასებდა ძველი ხელმძღვანელობა, უფრო მტკიცედ გაეტარებინა პარტიის ხაზი და გაეშალა მეტი ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის.

საქართველოს სარეწაო კოოპერაცია პირველ 5 წლედის ოთხ წელიწადში, გადაჭარბებით ასრულებს. ხუთ წლედით გათვალისწინებული იყო 2.268 ათასი მანეთის კაპიტალური დაბანდება. ფაქტიურად, **ოთხ წელში ამ მიზნით იხარჯება 6.848 ათასი მანეთი.** სისტემას, ხუთწლედით უნდა მოეცა 220.916 ათასი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად მიიღო ნარე წელთან ერთად იგი მოგვცემს 310 მილიონ მანეთის პროდუქციას. აქედან, მარტო **1932 წელში გამოუშვებს 148 მილიონ მანეთის საერთო პროდუქციას.**

სისტემამ საგრძნობლად გააუმჯობესა კოოპერატიული **შეკავშირების** ხარისხი, და გაანადგურა ის არა სწორი შეხედულება, თითქო **სარეწაო კოოპერაციაში** ჩაბმული იყოს მარტო ყოფილი ვაჭრები და ჩვენთვის მიუღებელი უცხო ელემენტები. 1930 წელს, საქართველოს მუშაზლეხების გამომკვლევმა, **სისტემაში შეკავშირებულთა შორის** აღმოჩნდა 5,6 პროც. უცხო ელემენტები, მათი ხვედრითი წონა 1932 წლის პირველ კვარტალში დაყვანილია 0,4 პროცენტამდე. უკანა მიღებულია ზომები, რომ სისტემა მთ

მეკურდღლეობის განვითარებას—პროფკავშირების განსაკუთრებული ყურადღება

ჯანმრთელობის კომისარიატის სისტემა არ დაძრუნა მკვდარი წერტილიდან

საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების თანახმად, **კურდღლის მეურნეობები უნდა მოეწყოს აგრეთვე ჯანმრთელობის კომისარიატსა და საკურორტო საამრთველოს სისტემაში შემავალ საავადმყოფოებთან და დასასვენებელ სახლებთან,** რომ ამ რიგად მოგვარებული იქნას საავადმყოფოებისა და დასასვენებელ სახლების ხორცეულით მომარაგების საკითხი.

ჩვენმა რედაქციამ ჩაატარა იმის გამორკვევა თუ რა აქვს გაკეთებული ამ მიმართულებით ჯანმრთელობის კომისარიატს და საკურორტო სამმართველოს. ჯანმრთელობის კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს, რომ მათ მოწყობილი აქვთ სპეციალური სადედე საბურთალოში, სადაც ამჟამად 1500-დე სული კურდღელი ყავთ მოშენებული, აღნიშნული სადედე თავის პროდუქციას აწვდის ცალკე ლაბორატორიებს სამეცნიერო - ექსპერიმენტალურ და საკონტროლო მუშაობისათვის:

რაც შეეხება შინაური კურდღლის მოშენებას ხორცის საკითხის გადასაჭრელად, ამ მიმართულებით ჯანმრთელობის კომისარიატს ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია, ასეთივე მდგომარეობაა საკურორტო სამმართველოშიც, რომელიც აქამდე მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ გამოყო სპეციალური კაცი, რომელსაც დაევალა მეკურდღლეობის საკითხის დამუშავება. **პრაქტიკულად** კი ჯერ-ჯერობით გაკეთებული არა არის რა.

საჭიროა ამ ორგანიზაციებმა მეტი აქტივობა გამოიჩინონ. ისინი დაუყოვნებლივ პრაქტიკულად შეუდგნენ საღირებეტიო ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში დაჩქარებით გატარებას.

რა აფერხებს მეკურდღლეობის საბჭოთა მეურნეობის გაფართოებას

საქ. გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს სამეურნეო ნაწილს სენაკის რაიონში თეკლათის ყოფილ მონასტერში, მოწყობილი აქვს **შინაური კურდღლის საბჭოთა მეურნეობა,** სადაც ამჟამად ათასამდე კურდღელი ყავს. მეურნეობის ძირითადი სანაშენო ჯგუფი შესდგება 330 სულისაგან. აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობაში მოშენებულია მხოლოდ ჯიშიანი შინაური კურდღელი, სახელდობრ—შინშილა ვენური ცისფერი და თეთრი ბუმბერაზი, რომლის წონაც 17 კილოგრამამდეც აღწევს. სტანდარტულები **წონა კი—9-10 კილოგრამს უდრის.**

თავისი საქმიანობის მიხედვით, აღნიშნული საბჭოთა მეურნეობა წარმოადგენს ჯერჯერობით სადედეს, ვინაიდან იგი თავის პროდუქციას სანაშენოდ აწვდის ცალკე ორგანიზაციებს, როგორც რესპუბლიკაში, **წონა კი—9-10 კილოგრამს უდრის.**

გეგმის თანახმად ძირითადი სანაშენო ჯგუფი თეკლათის საბჭოთა მეურნეობამ უახლოეს ორი თვის განმავლობაში **ათას სულამდე უნდა აიყვანოს,** რის გამოც საჭიროა მისი ტერიტორიალურად გაფართოება. ამ მიზნის მიღწევას ამჟამად აფერხებს ის გარემოება, რომ ყოფილი თეკლათის დედაო მონასტრის ნაწილი დღემდე კიდევ დაკავებულია მონაზონების საცხოვრებელ სახლებს. —სულ 40 სახლს. საბჭოთა მეურნეობის ხსენებული ადგილიდან გადატანა მიზანშეუწონელია, ვინაიდან ადგილმდებარეობა და პაჟი მეტად ხელსაყრელია მეკურდღლეობის განვითარებისათვის. ამიტომ საჭიროა მონასტრის ტერიტორია მთლიანად ამ მეურნეობას დაეთმოს.

ეს საკითხი დაჩქარებით უნდა გადაიჭრას, რომ ხელი არ შეეშალოს საბჭოთა მეურნეობის გაშლა-განვითარებას.

კ—ლია.

გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები

(თბილისი. აბრეშუმის ფაბრიკა)

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის პარტ უჯრედმა, ფაბკომმა და მუშათა კოოპერატივის გამგეობამ დროულად მიაქცია ყურადღება მეკურდღლეობის განვითარების საკითხს. აღნიშნულ ორგანიზაციებს განზრახული აქვთ შეიძინონ 250 დედა კურდღელი, რომელთაგან ნაწილი მოშენდება **თვით აბრეშუმის ფაბრიკაში,** ხოლო დანარჩენი **დილომში აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის ბოსტანთან.**

კურდღლების შესაძენად **გადადებულია** 4.000 მანეთი; ამავე რაიონში თანხა გადადებულია კურდღლების ბინის მოსაწყობად. ფაბრიკიდან ერთი კაცი იგზავნება მეკურდღლეობის კურსებზე.

ამრიგად აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ორგანიზაციებმა დაიწყეს პრაქტიკული მუშაობა კურდღლების მოშენებისათვის, მხოლოდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი დღემდე კიდევ ფართოდ არ არის დამუშავებული მუშათა კრებებზე. საჭიროა ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება.

ს. ჟღენტი.

ამხ. მუსაბეკოვი და ჭიჭინაძე სტალინისში

სტალინისი, 1 ივნისი საკ. კორესპ.) **31 მაისს სტალინისში ჩამოვიდნენ ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს** თავმჯდომარე ამხ. გ. მუსაბეკოვი და მძიმე მრეწველობის კომისარიატის უწყებული ამიერ-კავკასიაში **ამხ. ბ. ჭიჭინაძე,** რომლებმაც რაიკომის მდივნის ამხ. **კალმახელიძის** და რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **ცხოვრებაშვილის** თანხლებით დაათვალიერეს შაქრის ქარხნის მშენებლობა, შაქარმშენის საბჭოთა მეურნეობა, ელექტროფიკაციის სამუშაოები და რკინის-გზის ახალი კლება. დაწვრილებით გაეცნენ მუშაობის მიმდინარეობას, ესაუბრენ მშენებლობის ხელმძღვანელებს, გაეცნენ აგრეთვე ხვნა-თესვის გეგმებსა შესრულებას, ტექნიკური კულტურების თესვა და საკოლმეურნეო საკითხებს.

ტ. გოგალაშვილი.

ვი მაისს თბილისში საძირკველი ჩაეყარა ავტო-სარემონტო-ქარხანა „გიგანტს“

30 მაისს თბილისის მუშათა კლასმა კიდევ ერთი ახალი გამარჯვება იდღესასწაულა—ამ დღეს დიდებაში საძირკველი ჩაეყარა ავტო-სარემონტო ქარხანა—„გიგანტ“-ს.

საბჭოთა კავშირის და კერძოდ ამიერ-კავკასიის სოციალისტური სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდა გადაჰქონთ ტრანსპორტის (რომელიც ჯერ კიდევ ვერ ხდება ყველა წარმოადგენს) საფუძველიან რეკონსტრუქციასა და გაძლიერებას.

რკინის გზებთან პარალელურად უნდა გაფართოვდეს გზატეციების ქსელი, რომ „მამაპაპური“ ურემის ადგილი უახლოეს ხანში დაიკავოს მექანიკურმა სატრანსპორტო საშუალებამ—ორთქლმავალმა, ელექტრო-მავალმა, ავტომობილმა; რომ ტრაქტორს გაუადვილდეს მიწის ერთი ნაკუთიდან მეორეზე გადასვლა; რომ ჭიაზარდოს შრომის ნაყოფიერება და ტვირთბრუნვა რესპუბლიკის შიგნით.

ტრანსპორტის საკითხში ჩვენ უკვე დიდი მიკეთები გვაქვს. იზრდება და ფართოვდება რკინის გზების ქსელი. ამასთან ერთად სწრაფად ზრდება გზატეციების რაოდენობა, მაძღილი და ავტო-ტრანსპორტის ზაზა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პირველად ჩამოყალიბდა ჩვენში ავტოტრანსპორტის საზოგადოება—„ზაკავტოტრანსტორგი“, რომელმაც თავის დაარსების პირველ დღეებში მიიღო საზღვარგარეთიდან 30 ავტომობილი. ეს მაშინ დიდ მოღწევად ითვლებოდა, ვინაიდან ჩვენ არ გვქონდა ავტომობილების საკუთარი წარმოება.

დღეს მდგომარეობა რადიკალურად არის შეცვლილი. ჩვენ ავტომობილების და მრავალი სხვა მანქანისათვის უკვე აღარ მიგმართავთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ვინაიდან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა თავისი მარჯვენით და საკუთარი სისხლით უკვე მანქანების მძლავრი წარმოება შექმნა. დღეს ჩვენი საავტომობილო და სატრაქტორო ქარხნები ყოველდღიურად აწვდიან ჩვენს ქვეყანას ასეულ ავტომობილებს და ტრაქტორებს. ავტომობილების და ტრაქტორების ბაზა საბჭოთა კავშირში დღითი დღე იზრდება. დღითი დღე იზრდება აგრეთვე ამ მანქანების წარმოება.

მაგრამ როგორიც დიდი არ უნდა იყოდეს ახალ მანქანების წარმოება, იგი მხოლოდან ერთ ოთხმაპაოთ ნაწილს ჩვენი სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. რომელიც ყოველდღიურად იზრდებიან მეურნეობის ზრდისა და რეკონსტრუქციის ტემპებთან ერთად. ტრაქტორები და ავტომობილები სწორად საჭიროებენ შეკეთებას და ცალკე ნაწილების გამოცვლას. სამაგისო კი ჯერ ჩვენ სახელოსნოებს საკმარ რაოდენობა არ მოგეებოდა, რის გამოც დაზიანებული მანქანები ზოგჯერ საგრძნობი დროის განმავლობაში გამოდიან მოქმედებიდან, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ტრანსპორტის და ტვირთბრუნვის განვითარებაზე.

ამიტომ თბილისის ავტო-სარემონტო ქარხანა „გიგანტ“-ს უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ავტო-ტრანსპორტის დიდი ტემპებით ზრდას, რომ ეს ზრდა მთლიანად შეიფარდოს სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპებს და ტრანსპორტმა შესძლოს სახალხო მეურნეობის მიერ წაყენებული მაღალი მოთხოვნილებების მთლიანად და მაღალხარისხოვნად შესრულება.

ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1933 წლის ოქტომბერ-ნოემბრისა. მისი წლიური პროდუქცია ჯერჯერობით ნავარაუდევია 1800 ერთეულის ძალოვნობით. ქარხანა აწარმოებს როგორც ავტომანქანების შეკეთებას ისე ავტომანქანების ცალკე სათადარიგო ნაწილების დამზადებას. ქარხანა სამსახურს გაუწევს მთელ ამიერ-კავკასიას. ამ ქარხნის მშენებლობა ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ ცნობილია დამცირელ სამუშაოთ. ქარხნის პროექტი მთლიანად დამუშავებულია საბჭოთა კავშირის სპეციალისტების მიერ. ქარხნის მოწყობილობის 90 პროც. დამზადებული იქნება საბჭოთა კავშირის მრეწველობის მიერ. უცხოეთიდან შემოსული იქნება მოწყობილობის მხოლოდ 10 პროცენტამდე.

ქარხნის ასაგებად გადადებულია 8 მილიონი მანეთი. აქედან მიმდინარე წლის დამლევამდე დაიხარჯება 3,5 მილიონი მანეთი. ქარხნის ასაგებად საჭირო სამუშაო ნახაზების დამამზადებელი სპეციალისტების წარმომადგენლებმა ინჟინერ **სკოროხოდოვმა** სიტყვა მისცა თბილისის მუშებს, რომ ნახაზებს სისტემატიურად და ვადაზე ადრე მოაწვდიან მშენებლობას, რომ ამრიგად ხელი შეუწყონ ქარხნის ვადაზე ადრე დამთავრებას ქარხნის მშენებლობაში ჩაბმული მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯოხოსანები ფიცი დასდეს, რომ არ დაზოგავენ ცოდნას და ძალონეს, რათა უზრუნველყონ ქარხნის გადამდე დამთავრება და პუშ-გაშვება.

საძირკველის ჩაყრას დაესწრენ მთავრობის, პარტიულ, პროფესიონალურ კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბ. წარმოების მუშათა დიდი რაოდენობა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **გ. სტურუამ.** საქ. კ.პ. (ბ) ც-კის ს ხელით ამხ. **ა. ყურულიაშვილმა,** ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა კავშირის სახელით ამხ. **ალასკიროვმა,** საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და თბილისი სახ. მეურნეობის სახელით ამხ. **ბ. მაჩაიძემ.** მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე სტალინის რაიკომის სახელით **მჭედლოვმა,** ტექნიკური გარაჟის მუშათა სახელით ამხ. **ჯინჯარაძემ** (ტრაქტორი), **ჯინჯარაძე** (პედინსტიტუტი), დუდლაძე (ცეკავშირი), დგებაძე (ჩაის მფქ. კავშირი), **დალაქიშვილი** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **ძახოზოი** (ამიერ-კავკასიის სატყეო ინსტიტუტი). დაფიცნენ (ქიმკომბინატი), **ელისაბედაშვილი** (შრომის სახკომისარიატი), **ზიფერტი** (მიწსახკომი), ოვანოვი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), იტარიევი გზათა მოძრაობის ტექნიკუმი) **ირიდაკაზი** (თბილ. ენერგეტ ინსტ.), **იმანაე** (სახელმ. დაწესებ. კავშირი), **კოზლოვი, კახარაშვილი** (ტრამვაი), **კისლიზინი** („ტიფლისკავ რაბოჩი“), **კარაპეტიანი** (საქმიანობა), **კალანდარიშვილი** (სანკოსულირო ტრესტი), **კაჭახიძე** (პედფიზკაბ.), **კაჭახიძე** (ამიერ-კავკასიის სატყეო ინსტიტუტი), **კანდელაკი** (ლიმონტრესტი), **კალანდაძე** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **ქარჩავა** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **კლანდაძე** (პროკურატურა), **ჩუკა** (კალინინის სახ. ქარხანა), **ჩახვაძე** (ნოქარადების საკომისარიატი), **ჩარგაზია** (საქ. ზატარანი), **იარალოვი** (საქკოოპკავშირი), **კაკაბაძე** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **კონწურაშვილი** („სოციუსკოვ“-ი), **ლოგანოვი** (მე-41 საფაბ. სკოლის სკოლა), **ლაშხი** (უზენაესი სახკომსაბჭო), **მახარაშვილი** (შრომის სახკომი), **მანჯავილა** (თბილ. ენერგეტ. ინსტიტუტი), **მამარდაშვილი** (ცეკავშირი), **მგალობლიშვილი** (სამედიც. ინსტ.), **მოსწრაფიშვილი** (თბილ. ენერგეტ. ინსტიტუტი), **მაჭავარიანი** (ფინ.-ეკონომ. ინსტიტუტი), **მაჭავარიანი** (კომუნალ. სამწვალებელი), **მანჯგალაძე** (ცეკავშირი), **მაუსაშვილი** (სამედიც. ინსტიტუტი), **მარკოზოვი** (სახელგამის 1 სტამბა), **მარდალეიშვილი** (მეორე საფაბ.-საქარხნო სკოლა), **მიქელაძე** (ამიერ-კავკასიის სატყეო ინსტიტუტი), **მამალაძე** (საფაბ.-საქარხნო სკოლა), **მახაობაძე** (განათლების მუშაკთა კავშირი), **ნამგალაძე** (კოლ მეურნეობური), **ნადირაძე** (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი), **ონანოვი** (სამედიც. ინსტიტუტი), **პარკაძე** (სამედიცინო ინსტიტუტი), **ფხიტაძე** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **როგოვი** (თბილ. ენერგეტ ინსტიტუტი), **რაგულინი** (ამიერ-კავკასიის სატყეო ინსტიტუტი), **რობაქიძე** (კომ. მეურნ. მუშაკთა კავშირი), **სუმბარაკოვი** (მე-43 საფაბრიკო საქარხნო სკოლა), **სარჭისოვი** (თბილ. ენერგეტ. ინსტიტუტი). **ხერედი** (საქმეურნეობრივი), **ფოფორაძე** გზათა მშოსე. ტეხნიკუმი), **სიხარულიძე** (ჩაიმეწარე), **ტოდრუა** (მეორე საფაბ.-საქარხნო სკოლა), **ხეთაგური** (ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტი), **თუნდაზე** (ამიერ-კავკასიის სატყეო ინსტიტუტი), **თალაკვაძე** (ამიერ-კავკასიის მუშაკთხინი), **თოფხრიშვილი** (ა. ქ. გზათა საინჟ. ინსტიტუტი), **უნგაძე** (სოციალისტიკის კომიტ.), **ხაინდრავა** (ინსტიტუტი), **ხვინია** (ამიერ-კავკასიის გზათა საინჟენ. ინსტიტუტი), **წუწუნავა** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **ცომაია** (მეორე ტეხნიკუმი), **წაბალაშვილი** (საშენებლო მას. ტრესტი), **ცხაკაია** (პედინსტიტუტი), **ცაგარეიშვილი** (სახელგამის 1 სტამბა), **წერეთელი** („სოციუსკოვ“-ი), **ცომაია** (სამედიც. ინსტ.), **წითლაძე** (უმაღლ. სასწავლ. მოსამზად. კურსები), **ცაგარეა** (ფინ.-ეკონომ. ინსტიტუტი), **წულაია** (ა. ქ. სატყეო ინსტიტუტი), **შანიძე** (მეორეული კომკავშირული ცენტრი), **შუშანია** (სამედიც. ინსტიტუტი), **შილო** (რკინის გზის მუშაკი), **ჰიაურელი** (კალინინის სახ. ქარხანა), **ჩანგელია** (ამიერ-კავკასიის სატყეო ინსტიტუტი), **ჩახვაძე** (ნოქარადების საკომისარიატი), **ჩარგაზია** (საქ. ზატარანი), **იარალოვი** (საქკოოპკავშირი), **ჭინჭარაული** (სამედიც. ინსტ.), **ჭიჭინაძე** (საქ. ზატარანი), **ხარაიშვილი** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **ხარაიშვილი** (ამიერ-კავკასიის სატყ